

თამთა ჭეჟია

არასრულწლოვნის განრიდება სისხლის სამართლის პროცესში

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, [თამთა ჭეჟია]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თარიღი :

რეზიუმე

განრიდებისა და მედიაციის პროექტი დიდი ხანი არ არის რაც ქართული მართლმსაჯულების პროცესში არსებობს, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ განრიდება/ მედიაციის პროგრამა წარმატებით ხორციელდება და უკვე გარდაქმნა სისხლის სამართლის სახემძღვანელო პოლიტიკა ლიბერალური მიდგომების დამკვიდრებით. თუმცა არსებობს ისეთი ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს დამატებით კვლევას და ანალიზს, რათა არ მოხდეს კონკრეტული ნორმის არაერთგვაროვანი და ორაზროვანი გაგება. საჭიროა მედიატორისა და სოციალური მუშაკის პროფესიონალიზმი და პროდუქტიულობა. ასევე, აუცილებელია დაზარალებულის მაქსიმალური ჩართულობა განრიდებისა და მედიაციის პროცესში, დაზარალებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს, საკუთარი უფლებების დაცვის და აღდგენის მიზნით.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მუდმივი მიზანი და ინტერესია, მისცეს არასრულწლოვანს შანსი დაშვებული შეცდომა გამოასწოროს არასისხლისამართლებრივი გზით.

Abstract

The project of diversion and mediation has not existed in the process of Georgian justice for a long time, nevertheless, it should be said that the diversion / mediation program has been successfully implemented and has already been transformed into a criminal policy guide with the introduction of liberal approaches.

However, there are gaps that need further research and analysis to avoid a heterogeneous and ambiguous understanding of a particular norm. The professionalism and productivity of the mediator and social worker are essential. Also, the maximum involvement of the victim in the diversion and mediation process is inevitable, the victim should be given the opportunity to go to court to protect and restore their rights.

The ongoing goal and interest of the diversion and mediation program is to give the juvenile a chance to make his mistake up in a non-criminal way.

შინაარსი

| | |
|---|-----------|
| შესავალი..... | 7 |
| თავი I. განრიდება, როგორც არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული წარმოება სისხლის სამართლის პროცესში | |
| 1.1 არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების საფუძვლები..... | 9 |
| 1.2 განრიდების პროგრამის ძირითადი ამოცანები და პრინციპები..... | 15 |
| თავი II არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგულაციები | |
| 2.1 განრიდებაში მონაწილე პირები და მათი უფლებამოსილებები..... | 23 |
| 2.2.განრიდების გამოყენების პროცედურები და ხელშეკრულების პირობები..... | 31 |
| თავი III. პროკურორი განრიდების პროცესში | |
| 3.1 პროკურორის დისკრეციის ზოგადი მიმოხილვა..... | 36 |
| 3.2 განრიდება, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება..... | 39 |
| თავი VI. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება..... | 51 |
| დასკვნა | 58 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 60 |

შესავალი

თემის აქტუალურობა

სადისერტაციო ნაშრომში განიხილება დღეისათვის მეტად აქტუალური თემა არასრულწლოვანთა განრიდება, როგორც სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიება. დღევანდელ მსოფლიოში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულება, რომელიც გულისხმობს ბრალდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების ნაცვლად, ალტერნატიული გზების მოძიებას, ჩანაცვლებას იმ ზომით, რომლის შესაბამისადაც, არც საზოგადოებრივ უსაფრთხოებას დაემუქრება საფრთხე და ბრალდებულის მდგომარეობასაც მოერგება, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად მოხდეს მისი რესოციალიზაცია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე არასრულწლოვნებს ეხებათ. სწორედ ამის გამო არის ეს თემა განსაკუთრებით აქტიური და მნიშვნელოვანი. არსებობდა შემთხვევები როდესაც გამოყენებული ზომა არ იყო ჩადენილი დანაშაულის პროპორციული. განრიდების პროგრამა ეტაპობრივად განვითარდა მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. დაინერგა განრიდების პროგრამა, სადაც განსაკუთრებული როლი ენიჭებათ აღნიშულ პროცესში მონაწილე უფლებამოსილ პირებს. აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხი აქტუალურია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობა მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის ლიბერალიზაციის მიმართულებით. აღსანიშნავია რომ, განრიდების პროგრამა არასრულწლოვნების მიმართ დიდი ჰუმანურობის გამომხატველია. გამოდინარე აქედან, ნაშრომი ეხება იმ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც გამოიწვია აღდგენითი მართლმსაჯულებისა და უშუალოდ სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების დანერგვამ.

კვლევის საგანი , მიზანი და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის მიზანს და ამოცანას წარმოადგენს სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა. პრაქტიკაში ამოქმედებულმა განრიდებისა და მედიაციის პროგრამამ წარმოშვა ისეთი პრობლემები, რომლებიც მეცნიერულ დონეზე შესწავლას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას საჭიროებს. მნიშვნელოვანია აქტუალური პრობლემების განხილვა პრაქტიკული თუ თეორიული თვალსაზრისით. სადისერტაციო თემის მიზანს წარმოადგენს გამოიკვეთოს თუ რა პრობლემის წინაშე ვდგავართ, შედეგიანია თუ არა არსებული მექანიზმის დანერგვა და განხორციელება ქართულ კანონმდებლობაში. აღნიშნული თემის ამოცანას წარმოადგენს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული

პრობლემების ანალიზი, რომელიც ხელს შეუწყობს განრიდების პროგრამის სამართლებრივ სრულყოფას.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულ იქნა კვლევის ნორმატიული, სისტემური, შედარებითი, სინთეზური და ლოგიკური მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილისგან, 4 თავისგან, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილია ქვეთავებად, და დასკვნისგან.

თავი 1. განრიდების , როგორც არასრულწლოვნის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული წარმოება და განვითარება სისხლის სამართლის პროცესში

1.1 არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების საფუძვლები

გასული საუკუნეების 70-იანი წლებიდან გაიზარდა ყველა სახის დანაშაულთა რიცხვი, რის შემდეგაც სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება მკაცრი ზომების გატარების შესახებ. სახელმწიფოთა უმრავლესობამ იხემპრვანელა „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპებით და მკაცრი სისხლის სამართლებრივი ღონისძიებებით დაიწყო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მკაცრი ზომები შეეხო ისეთ დანაშაულებს, როგორც არის კორუფცია, ორგანიზაციული დანაშაული და ასევე წვრილმანი დანაშაულები. ნულოვანი ტოლერანტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება გახდა. ნულოვანი ტოლერანტობის მთავარი პრინციპია სასჯელის შეფარდება არა ინდივიდუალურად ბრალეული ქმედების პარალელურად, არამედ დანაშაულის სახეობის მიხედვით.

1985 წელს, გაერომ შეიმუშავა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის“. აღნიშნული წესდების მე-11 მუხლის შესაბამისად, პოლიციას , პროკურატურას და სხვა ორგანოებს, რომლებიც აწარმოებენ არასრულწლოვანთა საქმეს, უნდა მიეცეს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შეხედულებისამებრ, საქმის ოფიციალური მოსმენის გარეშე, შესაბამის სამართლებრივ სისტემაში ამ მიზნისათვის დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, აგრეთვე წინამდებარე წესებში მოცემული პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული წესები მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს განარიდონ არასრულწლოვნები სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ უნდა იმოქმედოს ისე, რომ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმე გადაწყვიტოს, სისხლისამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლით, რა თქმა უნდა იქ სადაც ამის შესაძლებლობა იქნება.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის თომას ჰამერბერგის საქართველოს მიმართ შედგენილ 2011 წლის 11 ივლისის დასკვნაში გაკრიტიკებულ იქნა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა და რეკომენდაცია მიეცა სახელმწიფოს, შეცვალოს პატიმრობის შეფარდების

სისტემურობა და დაუსაბუთებლობა. იგი მიმართავს ხელისუფლებას, შეიტანოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებები, რომელიც იქნება უფრო ჰუმანური და ადამიანის უფლებებზე მორგებული, რაც გამოსწორებაზე ორიენტირებულ მართლმსაჯულების პრინციპებს დაეყრდნობა. ნულოვანი ტოლერანტობის შემდგომ, სახელმწიფოში აუცილებელი გახდა შედარებით ღმობიერი რეფორმები გატარებულიყო სისხლის სამართლის პოლიტიკაში.¹

გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, მისი ბრალეულობის ნაკლებ ხარისხს ადასტურებს და აუცილებელია სრულწლოვნებისგან განსხვავებული მიდგომარეობა. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული ნიშნები როგორცაა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა, უნდა ჩაანაცვლოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპმა, რაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზანს ემსახურება.²

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტულ მინიმალურ წესებში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“) განხილულია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის დაცვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრიდან დამსჯელობითი ღონისძიებების მინიმუმამდე დაყვანას და კანონთან კომფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შემდგომი რეინტეგრაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და, შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ინდივიდუალურად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს.³

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს ინდივიდუალური მიდგომა. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური

¹ ქუთათელაძე მ., განრიდება და მედიაცია, თბილისი, 2017, გვ:29

² განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე, გვ.60

³ იქვე, გვ.60;

მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის პირადი შეხედულებები მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას. კანონპროექტი განამტკიცებს არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლებას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება. შესაბამისად, არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესში ჩაბმულმა პირებმა უნდა მიიღონ რელევანტუტი ზომები იმისთვის, რომ არ შეიქმნას რაიმე დაბრკოლება არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარებისთვის, რაც მნიშვნელოვანია მისი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების კუთხით. როგორც აღინიშნა, არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში განიხილება მისი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უკეთ მოემსახურება თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სასჯელის გამოყენებასთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორი უპირველეს ყოვლისა იფიქრებს განრიდების გამოყენებაზე, და თუ შესაბამისი საფუძვლები არ იარსებებს და განრიდების გამოყენება არ იქნება მიზანშეწონილი, მხოლოდ ამის შემდეგ განიხილება სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განმარტავს განრიდების გამოყენების წეს-განრიდების გამოყენება შესაძლებელია მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ აღნიშნული უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას. განრიდების გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, ჩადენილი ქმედების ხასიათის სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, მიყენებული ზიანი, სისხისამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულის შემდგომი ქცევა, წარსულში ჩადენილი დანაშაული და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არასრულწლოვნის განრიდებაზე უარი უნდა დასაბუთდეს. გადაწყვეტილებაში უპირველეს ყოვლისა უნდა მიეთითოს თუ რატომ ვერ იქნება მიღწეული რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი განრიდების ღონისძიების გამოყენებით.⁴

განრიდების გამოყენების საფუძვლები ნათლად არის ჩამოყალიბებული გაეროს წესებსა და მის სახელმძღვანელო პრინციპებში. პეკინის წესების

⁴ იქვე. გვ.61-63;

შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივ სამართალში უნდა იყოს განსაზღვრული განრიდების კრიტერიუმები. ესენია:

- პირი უნდა იყოს არასრულწლოვანი;
- მის მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა იყოს ნაკლებად მძიმე;
- ეს უნდა იყოს პირველი შემთხვევა.⁵

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, ბავშვთა მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო, თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირატესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესის უზრუნველყოფას.⁶

1989 წლის 20 ნოემბერს გაერომ მიიღო ბავშვთა უფლებების კონვენცია , რომლის მიხედვითაც, წევრი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, გამოიყენონ ყველანაირი ღონისძიებები, ბავშვთა უფლებების დასაცავად, ღონისძიებები, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას ბრალდებული ბავშვების მიმართ საქმეები გადაწყდეს პროცესის მწარმოებელი ორგანოების მიმართვის გარეშე. აღნიშნული ფაქტის შესაბამისად, საჭირო გახდა სახელმწიფოებს გაეტარებინათ რეფორმები, რომელიც უზრუნველყოფდა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციას არასრულწლოვანთა მიმართებით.

ცივილიზებული მსოფლიო ერთხმად აღიარებს, რომ ბრალდებულისათვის თავისუფლების აღკვეთა განსაკუთრებით, თუ იგი არასრულწლოვანია, უნდა ჩანაცვლდეს იმ ზომით, რომლის შესაბამისადაც არც საზოგადოებრივ უსაფრთხოებას დაემუქრება საფრთხე და ბრალდებულის მდგომარეობასაც იქნება მორგებული, რათა მაქსიმალურად მოხდეს მისი კანონმორჩილ მოქალაქედ გარდაქმნა.⁷

თანაზომიერება საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, ევროპული წესების მიხედვით, სანქციების გამოყენება არასრულწლოვანის მიმართ უნდა ეფუძნებოდეს მათ საუკეთესო ინტერესებს, განისაზღვროს დანაშაულის სიმძიმით და მხედველობაში იქნას მიღებული

⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ. პეკინის წესები; მე-11 მუხლი.

⁶ გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ; მე-3 მუხლი.

⁷ მართლმსაჯულება და კანონი #4(52), რედ: ნინო ძიძიგური, თბილისი, 2013. გვ.108

არასრულწლოვანთა ასაკი, ფიზიკური და გონებრივი განვითარება შესაძლებლობები და პიროვნული მახასიათებლები.⁸

საქართველოში 2010 წლის 15 ნოემბრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაციის პროგრამა, და ამავე წლის 19 ნოემბერს განრიდებულ იქნა პირველი არასრულწლოვანი. მოგეხსენებათ თავდაპირველად პროგრამა მოქმედებდა საქართველოს მხოლოდ ოთხ ქალაქში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი. ხოლო 2013 წლიდან გავრცელდა მთელი საქართველოს მასშტაბით.⁹

ასევე 2011 წლის 21 ივნისს ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე, 168²-ე მუხლები, რომლის შესაბამისადაც პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ფაქტზე.¹⁰

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა მსოფლიოში ეტაპობრივად დაფუძნდა და განვითარდა. აღნიშნული პროგრამა ცნობილია, როგორც „დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაცია“. საქართველო შეუერთდა და გაიზიარა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის სტანდარტები და შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა არასრულწლოვნებთან მიმართებაში, რადგანაც არასრულწლოვანთა განრიდება წარმოადგენს ლიბერალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

2016 წლის 1 იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, ეს კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/ მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. მიზანი არის მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.¹¹

2019 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ რომლის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ამ კოდექსით ხაზი გაესვა არასრულწლოვნის ინტერესების პრიორიტეტულობას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობას, უსაფრთხოებას, სიცოცხლის,

⁸ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, გვ.64

⁹ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა-საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; 2016 წლის 6 თვის ანგარიში.

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე მუხლი. 2011 წლის კანონი.

¹¹ საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ. მე-2 მუხლი

ჯამრთელობის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვას ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე.¹²

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლის თანახმად „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს აქვს, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს“.¹³

განრიდება/მედიაციის უმთავრესი მიზანია არასრულწლოვან სამართალდამრღვევს მისცეს შესაძლებლობა გვერდი აუაროს სისხლისსამართლებრივ პროცედურებს. ბევრი მეცნიერული კვლევებისა და მოსაძრებების შედეგად ირკვევა, რომ ის მოზარდები, რომელთა მიმართაც არ იქნა გამოყენებული განრიდება პროგრამა უფრო ხშირად ჩადიოდნენ კანონსაწინააღმდეგო ქცევას, ვიდრე ის არასრულწლოვნები, რომლებიც ჩაერთვნენ განრიდება/მედიაციის პროგრამაში.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ (ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით) სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და დანერგონ საფეხურებრივი სისტემა, რაც გულისმობს ყოველგვარი ზომის მიღების გარეშე გაფრთხილების მიცემას, განრიდებას სასამართლო პროცესამდე და უკიდურეს შემთხვევაში სასამართლო განხილვას.¹⁴

აღდგენითი მართლმსაჯულება მულტიდისციპლინური კატეგორიაა და სისხლისსამართლებრივ, კრიმინოლოგიურ, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ვიქტიმოლოგიურ, სოციალურ-პედაგოგიურ საკითხებს ეყრდნობა.¹⁵

ტრადიციული მართლმსაჯულებისგან განსხვავებით, რომელიც დამნაშავის დადგენაზე და დასჯაზეა ძირითადად მიმართული, აღდგენითი მართლმსაჯულება მიჩნეულია, როგორც პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული დამატებითი და ალტერნატიული საშუალება, ტრადიციულ სისხლის სამართლის წარმოებასთან ერთად. მისი მიზანია პირველ რიგში დიალოგისა და მოლაპარაკების გზით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მხარეების შერიგება.¹⁶

¹² ბავშვის უფლებათა კოდექსი. 1-ლი მუხლი

¹³ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-6, მე-7 მუხლი

¹⁴ ჰამილტონი, ქ., 2011. გვ. 65.

¹⁵ თუმანიშვილი, გ., 2013. გვ. 253.

¹⁶ შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013. გვ.8

აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილია განრიდება/მედიაცია, რომლის ძირითადი მიზანია, დამნაშავე მოზარდმა აიღოს პასუხისმგებლობა ჩადენილ ქმედებაზე და მოახდინოს საზოგადოებაში სწრაფი ინტეგრაცია, რაც ხელს შეუშლის დანაშაულის განმეორებით ჩადენას. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებით მოგებულა როგორც დამნაშავე, დანაშაულის მსხვერპი და საზოგადოება.¹⁷

1.3. განრიდების პროგრამის ძირითადი პრინციპები

განრიდების პროგრამის შესაბამისად განისაზღვრება რამოდენიმე სახემძღვანელო პრინციპი, რომლის შესაბამისადაც უნდა იმოქმედოს უფლებამოსილმა ორგანომ. ესენია:

- ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა
- ნებაყოფლობითობა
- პროპორციულობა
- კონფიდენციალურობა
- სტიგმატიზაციის დაუშვებლობა
- დამნაშავის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება¹⁸

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის N120 ბრძანების შესაბამისად, პირველი პრინციპი. „ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა“ განიმარტება შემდეგნაირად: „არასრულწლოვნის მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ზომებს ენიჭება. მსუბუქი არარეპრესიული და ადეკვატური ზომების გამოყენება, ხშირ შემთხვევაში, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ამდენად ამ ბრძანების მიზანია ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების ხელშეწყობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმების ფართო გამოყენებით.“¹⁹

სიტყვა „განრიდება“ მოცემულ კონტექსტში გულისხმობს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მოზარდის ისეთი სახით მონაწილეობას, რომელიც მისი ფსიქიკისათვის არ იქნება საზიანო. მოზარდის განრიდებისა და/ან მედიაციის პროგრამაში მონაწილეობა, რა

¹⁷ იქვე. გვ.7

¹⁸ ქუთათელაძე, მ. „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში“, გვ.36;

¹⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის ბრძანება N120.

თქმა უნდა, არის სისხლისამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესის პირველ საფეხურებთან (გამომძიებელი, პროკურორი) შეხება, რამაც კანონმდებლის სურვილით არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვანი დამნაშავეის ზიანი.²⁰

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა დამოკიდებულია მხარეების სურვილზე, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მათზე ზეწოლა პროგრამაში იძულებით მონაწილეობის მიზნით. მხარეები უფლებამოსილი არიან, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, უარი განაცხადონ განრიდება/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. აღნიშნულ პროგრამაში ჩართვა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია მხარეების თავისუფალ ნებაზე.²¹

პეკინის წესების 11.3 მუხლის შესაბამისად „საქმის ნებისმიერი შეწყვეტა, დაკავშირებული საქმის შესაბამის საზოგადოებრივ ან სხვა სამსახურში გადაცემასთან, მოითხოვს არასრულწლოვნის ან მისი მშობლის ან მეურვის თანხმობას, იმ პირობით, რომ ასეთი გადაწყვეტილება გადაცემის შესახებ ექვემდებარება გადახედვას ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ განცხადების საფუძველზე.“²²

არასრულწლოვანს უნდა განემარტოს თავისი უფლებები, ყველა ეტაპზე გარანტირებული უნდა იყოს ძირითადი პროცესუალური გარანტიები. პირმა ძალდაუტანებლად, ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე უნდა აღიაროს დანაშაული. ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიმღები არის თავად არასრულწლოვანი. არასრულწლოვანი ერთპიროვნულად წყვეტს მიიღოს თუ არა განრიდება/მედიაციის პროგრამაში მონაწილეობა, ანდა ჩვეულებრივად აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისთვის. პეკინის წესების მიხედვით ასეთი გადაწყვეტილების უფლებამოსილება აქვს თავად არასრულწლოვანს, მეურვეს ან მშობლებს.

იურიდიულ ლიტერატურაში ნებაყოფლობითობასთან ერთად დამკვიდრებულია ფაქტიური არანებაყოფლობითობის ცნება. „ფაქტიური არანებაყოფლობითობა“ სახეზეა მაშინ, როდესაც განრიდების პროცესში მონაწილე ერთ-ერთი მხარე იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია

²⁰ შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, გვ.31

²¹ იქვე.გვ.32.

²² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (პეკინის წესები) , 11.3 მუხლი.

მოლაპარაკების დროს პირობები წაუყენოს მეორე მხარეს. განრიდების პროცესში ფაქტიური არანებაყოფლობითობა სახეზე გვექნება, თუ პროკურორი მოზარდს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხოლოდ ერთ სავალდებულო საქმიანობას შესთავაზებს და მას არ ექნება სხვა სამუშაოს შესრულების ალტერნატივა. არ შეიძლება დამნაშავე არასრულწლოვანს დააძალო, მონაწილეობა მიიღოს განრიდების პროცესში, ვინაიდან პროცესი ამით ვეღარ მიაღწევს თავის ძირითად მიზანს- არასრულწლოვანმა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ უკანონო საქციელზე. შესაძლებელია არასრულწლოვანის მიზანი იყოს სისხლისამართლებრივი დევნისა და სასჯელის თავიდან აცილება, თუმცა როგორც არასრულწლოვანს, ასევე დაზარალებულს უნდა განემარტოს, რომ შერიგება და მათი პრობლემის მოგვარება შემდგომი უთიერთობის საუკეთესო ფორმაა.²³

„პროპორციულობა“- განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომლის მიხედვითაც პირის ქცევების შეზღუდვა და ვალდებულებები უნდა განისაზღვროს ქმედების პროპორციულად. პროპორციული ქმედების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს პირის ასაკი და სხვა მახასიათებლები, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და გავლენა საზოგადოებაზე.²⁴

პროპორციულობის პრინციპი განისაზღვრება პეკინის წესების შესაბამისად. აღნიშნული პრინციპი დამსჯელობითი სანქციების საპირისპირო ინსტრუმენტია. „არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მოქმედებაზე საპასუხო რეაქცია ყოველთვის პროპორციული უნდა იყოს, როგორც სამართალდამრღვევის მდგომარეობისა, ისე საქმის გარემოებების.“²⁵ სოციალური მდგომარეობისა და პიროვნული მახასიათებლების გარდა, მხედველობაში უნდა მიიღონ პირის გულწრფელი მონანიება, მისი მზადყოფნა ანაზღაუროს ზიანი და დაიწყოს ჯანსაღი ცხოვრება. „პროპორციულობა განსაზღვრავს დამოკიდებულებას მიზანსა და საშუალებას შორის, კერძოდ კი ადგენს, იმყოფება თუ არა საშუალებით (ე.ი ნორმატიული აქტით) გამოწვეული უფლების შეზღუდვა, შეზღუდვის მიზანთან პროპორციულ, თანაზომიერ დამოკიდებულებაში. ამ თვალსაზრისით შეზღუდული სიკეთის და შეზღუდვის მიზნის შეფასებისას, გადამწყვეტია მათი შეპირისპირება, რამაც უნდა ცხადყოს, რომ ერთი სიკეთე არ იქნება არაპროპორციულად, ცალმხრივად შეფასებული მეორე სიკეთის ხარჯზე. ძირითადი უფლებებით, როგორც

²³ არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, შალიკაშვილი მ., თბილისი, 2013. გვ.32-33.

²⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის ბრძანება N120, დანართი-მუხლი 3, ქვეპუნქტი „გ“.

უმუალოდ მოქმედი სამართლით, მათი შებოჭვა, საბოლოო ჯამში, თანაზომიერების პრინციპით ხორციელდება.“²⁵

ევროპის გაერთიანების სამართლის საყოველთაო სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბების წყაროა წევრი სახელმწიფოების საკონსტიტუციო ტრადიციები. თანაზომიერების პრინციპი მოცემულია ყველა წევრი სახელმწიფოს სამართალწესრიგში. შესაბამისად, მას, როგორც საყოველთაო სამართლებრივ პრინციპს, პირველადი სამართლის ხარისხი აქვს და აღიარებულია „გაერთიანების სამართლებრივი ღონისძიებების შემზღვეველ ყოვლისმომცველ პრინციპად“.²⁶

თანაზომიერების პრინციპი პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ სახელმწიფო პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლობისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებელია თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი, ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას. პროპორციულობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ნებისმიერი ჩარევისას უნდა დადგინდეს, რომ „1) ჩარევა ესმახურება ლეგიტიმურ მიზანს, 2) ჩარევა უნდა იყოს ეფექტიანი დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად-აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულად არის შესაძლებელი, 3) ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად-ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შედარებითი ზომიერი საშუალება, როდესაც ისეთივე ეფექტური იქნებოდა მიზნის მისაღწევად, 4) ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (თანაფარდობის ვიწრო გაგება)-ჩარევის შესაბამისობის დადგენისას წარმოებს ჩარევის შეზღუდულ და დაცულ სიკეთეთა ორმხრივი შედარება.“²⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპი „პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს

²⁵ „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.“ თავი მეორე. გამომცემლობა შპს. „პეტიტი“, 2013. გვ. 25.

²⁶ „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, კორკელია ვ. (რედ.), სტატიათა კრებული, თბილისი, 2006. გვ.68.

²⁷ არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, შალიკაშვილი მ., თბილისი, 2013. გვ.34

მატერიალური მასშტაბებს კანონმდებლისთვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფო თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამათლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის თავისუფლების და ძირითადი უფლებების არაკონსტიტუციურად ხელყოფას. თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს,...(და თუ ნორმა) არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს არ ექვემდებარება თანაზომიერების ტესტს და ხელყოფს ძირითადი უფლების ხელშეუხებელ არსს.“²⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილების თანახმად, „სახელმწიფოსთვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი. ღირსება ასევე არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. პირის სამართლებრივი სტატუსის საფუძველში დევს ღირსების იდეა, ხოლო სამართლებრივი დაცვის საშუალების საფუძველი არის პიროვნების ღირსების უზრუნველყოფის პრინციპი. ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას.“²⁹

საკითხი, თუ რამდენად აკმაყოფილებს განრიდების პირობები თანაზომიერების პრინციპის კრიტერიუმებს, უნდა გაირკვეს თითოეული საქმის განხილვა-გაანალიზებით. ერთი რამ უდაოა, სახელმწიფოს უფლება არ აქვს მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ნებისმიერი სახის ღონისძიება და, რომ განრიდების და/ან მედიაციის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ასეთი ღონისძიება არ უნდა იყოს მოზარდის პატივისა და ღირსების შემლახავი. განრიდების და/ან მედიაციის ხელშეკრულებების პირობები მოზარდისთვის პატივისა და ღირსების შემლახველად ჩაითვლება, თუ „მოპყრობა მსხვერპლში (მოზარდში) აღძრავს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას; ეს განცდა ამცირებს და აკნინებს მსხვერპლს; განცდა ტებს მსხვერპლის ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობას;

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება.

<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=426> [27.04.2020.]

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqe-maia-natadze-da-sxvebi-saqartvelos-parlamentisa-da-saqartvelos-prezidentis-winaagmdeg-430.page> [ნანახია 27.04.2020]

მოპყრობის მიზანია მსხვერპლის დამცირება; მოპყრობის ხარისხი აღწევს სიმკაცრის მინიმალურ დონეს მაინც. დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი უნდა დადგინდეს ობიექტიური გარემოებებზე დაყრდნობით და არა სავარაუდო მსხვერპლის სუბიექტური შეგრძნებებისა და გნცდების ანალიზის საფუძველზე. პატივისა და ღირსების ხელმყოფი კანონი უნდა შეიცავდეს ნორმებს, რომლებიც იქნებოდა იმდენად მკაცრი, ამორალური და უსამართლო, რომ ისინი ობიექტური თვალსაზრისით მოახდენდნენ: პიროვნების მიერ თვალში საკუთარი მორალური თვისებების შეფასების (ღირსების) ან საზოგადოების მხრიდან პიროვნების შეფასებითი დამოკიდებულების (პატივის) დაკნინებას. პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ დაცვას აქვს შემდეგი მიმართულებები; ადამიანის სხეულის მთლიანობის, ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა; ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი სამართლიანი სოციალური პირობების უზრუნველყოფა; სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფა; ადამიანის, როგორც ინდივიდის პიროვნულობის დაცვა.³⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილების თანახმად „მირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენს ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსებისა და პიროვნულობის თავისუფლება კი მის მირითად უფლებებში მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულ განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც“.³¹

„კონფიდენციალურობა“- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120 ბრძანების შესაბამისად, განრიდების პროცესში არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ ან, თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ განისაზღვრება.³²

კონფიდენციალურობის პრინციპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში. აღნიშნული პრინციპი

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalage-maia-natadze-da-sxvebi-saqartvelos-parlamentisa-da-saqartvelos-prezidentis-winaagmdeg-430.page> [ნანახია 27.04.2020]

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2358226?publication=0> [ნანახია 27.04.2020]

³² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, დანართი-მუხ.3 „დ“ ქვ/პ.

ასახულია როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანი ბრალდებულის დასწრების შემთხვევაში პროცესი დახურულ კარს მიღმა ტარდება.

როგორც უკვე ავლნიშნეთ, კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანი პრინციპია. ამ პრინციპის გამოყენებით, არასრულწლოვან ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა საზოგადოებაში რეინტეგრაციის, ვინაიდან ხალხში არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება ნასამართლეთი ადამიანების მიმართ, რაც ხელს უშლის ყოფილ პატიმრებს, თავი იგრძნონ საზოგადოების სრულფასოვან წევრად. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის საშუალებით კი, მოზარდის ბიოგრაფიაში მისი ცხოვრების ეს ეტაპი არსად არ არის დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ კონფიდენციალურობის პრინციპი ამყარებს პროგრამის ეფექტურობას.

ქეროლ ჰამილტონის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „განრიდებისა ან/და მედიაციის პროცესში დამნაშავე და დაზარალებული პირის შესახებ მხარეების მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა ემსახურება საზოგადოებაში მათ უმტკივნეულო რესოციალიზაციას.“³³

„სტიგმატიზაციის დაუშვებლობა“- სტიგმა არის ფიზიკური ან სოციალური თვისება, ნიშანი, რომელიც ახდენს პირის ან ჯგუფის სოციალურ იდენტობის დევალვაციას და დისკრეციას. სტიგმა შეიძლება იყოს ისეთი სოციალური მახასიათებელი როგორცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია“.³⁴

აუცილებელია რომ მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული არასრულწლოვანის მიმართ საუკეთესო ინტერესებისთვის გამოყენებული ნებისმიერი პირობა. მოზარდის პროგრამაში ჩართვამდე, აუცილებელია შეფასდეს განრიდება/მედიაციის გამოყენების ეფექტურობა კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. არასრულწლოვანი კანონდამრღვევის პირის პროცესში ჩართვა, მოგვცემს თუ არა იმ შედეგს, რასაც განრიდება/მედიაციის პროგრამა ემსახურება, ასევე უნა შეფასდეს, არსებობს თუ არა დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი და ა.შ.

აღდგენითი მართლმსაჯულება ორიენტირებულია დანაშაულის ჩადენით ან კონფლიქტით გამოწვეულ სიტუაციაში ბალანსის აღდგენის მნიშვნელობაზე .

³³ ქეროლ ჰამილტონი, სახელმძღვანელო დოკუმენტი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011წ. გვ.70.

³⁴ შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი. 2013. გვ.3.

აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპებია:

- მიყენებული ზიანის გამოსწორება და საზოგადოებაში ბალანსის აღდგენა;
- დაზარალებულისათვის რესტიტუცია (ზიანის ანაზღაურება)
- იმის უზრუნველყოფა, რომ სამართალდამრღვევი აცნობიერებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას და აქვს სურვილი, რომ ამ ქმედებისათვის პასუხისმგებლობა აიღოს;
- სამართალდამრღვევის სამომავლო ქცევების შეცვლისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა.³⁵

განრიდების პრინციპების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებშიც წარმოდგენილი არიან კონკრეტული დაზარალებულები . ჩადენილი დანაშაული შეიძლება განპირობებული იყოს მხარეებს შორის არსებული კონფლიქტით, მოურიგებლობით, უთანხმოებით, და ა.შ. ასეთ ვითარებაში სასჯელის ტრადიციულად გამოყენებული ღონისძიებები ნაკლებად აღწევს პრობლემის მოგვარების მიზანს, ვინაიდან არ არის ორიენტირებული მხარეთა შერიგებაზე და არსებული კონფლიქტის მოგვარებაზე.³⁶

აღნიშნული პრინციპები გამოიყენება ისეთ დანაშაულებზე, რომლებშიც გამოირიცხება დანაშაულის ძალადობრივი ხასიათი. გარდა გამონაკლისისა, სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე, მსუბუქი დაზიანებისა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაბამის უფლებამოსილ პირებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ პროგრამის განხორციელების პროცესში, რადგან მოცემული პრინციპების მაქსიმალური დაცვა უზრუნველყოფს განრიდება/მედიაციის ეფექტურობას, რაც ხელს შეუწყობს იმ შედეგის დადგომას, რასაც აღნიშნული პროგრამა ემსახურება.

³⁵ ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI), „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისკენ“ პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი 2011წ. გვ.57

³⁶ იქვე. გვ.59.

თავი II. არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგულაციები

2.1. განრიდების პროგრამაში მონაწილე პირები და მათი უფლებამოსილებები

განრიდების პროცესში მონაწილე პირთა სია განსაზღვრულია კანონის შესაბამისად. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მწარმოებელი პირები არიან: არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი/საპროცესო წარმომადგენელი, პროკურორი, დაზარალებული, მედიატორი, ადვოკატი და სოციალური მუშაკი და ა.შ.³⁷

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის N120 ბრძანების შესაბამისად, განრიდება/განრიდება და მედიაცია საშუალებას აძლევს პროკურორს, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ზოგიერთ დანაშაულზე და, ამავე დროს, არ დატოვოს დანაშაული რეაგირების, ხოლო დაზარალებულის ინტერესი ყურადღების გარეშე. მოცემული პროგრამით პროკურორს შესაძლებლობა ეძლევა, რომ არასრულწლოვანი, რომელმაც ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, განარიდოს სისხლის სამართლის სისტემასა და ნასამართლობას, ამასთან, ხელი შეუწყოს ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას, არასრულწლოვნის გამოსწორებას, მის სათანადო განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას, მათ შორის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას.³⁸

პროკურორი როდესაც იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ის ხემძღვანელობს ორი ტესტით: საჯარო ინტერესი და მტკიცებულებითი ტესტი. მტკიცებულების ტესტის შესაბამისად, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ არ არსებობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი ან/და თუ ნაკლებად მოსალოდნელია პირის ბრალეულობის დადასტურება სასამართლოს მიერ“. ხოლო რაც შეეხება საჯარო ინტერესს, მაშინაც კი, როდესაც მტკიცებულებითი ტესტი დაკმაყოფილებულია, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს დევნა, თუ დევნის დაწყება ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს. საჯარო ინტერესის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მრავალი გარემოება, მათ შორის: სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები; დანაშაულის ბუნება და სიმძიმე;

³⁷ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილი;

³⁸ იუსტიციის მინისტრის 2016 წლის N120 ბრძანება, დანართი 1;

სისხლისამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა; პირის ბრალეულობის ხარისხი; ასევე მისი კრიმინალური წარსული; გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი; პიროვნული მახასიათებლები; მსჯავრდებულის შემთხვევაში მოსალოდნელი სასჯელი ან სხვა შედეგი. აღნიშნული ფაქტორები და პრინციპები არ არის ამომწურავი და გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად შედის დევნის განხორციელება საჯარო ინტერესში, უნდა იქნეს მიღებული ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.³⁹

როგორც ვხედავთ, საჯარო ინტერესი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი პროკურორის მიერ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილების დროს. საკითხავია, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაული, რომელიც არ არის ძალადობრივი ხასიათის, ატარებს თუ არა მაღალ საჯარო ინტერესს.⁴⁰

პროკურორის მიერ განრიდების გადაწყვეტილების მიღებამდე, პროკურორი ხვდება არასრულწოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს. არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი არის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.⁴¹

განრიდებისა და მედიაციის პროცესში არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა აუცილებელია, რათა არასრულწლოვანს გვერდში ჰყავდეს ნდობით აღჭურვილი პირი. კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე შესაძლებელია არასრულწლოვანს გაუჩნდეს შიში სახელმწიფო სტრუქტურებისადმი და ვერ დაიცვას საკუთარი პოზიცია ცხოვრებისეული გამოცდილების არქონის გამო. არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდებისა და მედიაციის საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას.⁴²

³⁹ მეურმიშვილი ბ., „სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე)“, თბილისი, 2014. გვ.180,181;

⁴⁰ მ. შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბილისი, 2013. გვ.53;

⁴¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი

⁴² მ. შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბილისი, 2013. გვ.53;

იმ შემთვევაში თუ არასრულწლოვანს არ ყავს წარმომადგენელი, განრიდებისა და მედიაციის პროცესში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს პროკურორის, გამომძიებლის მიერ დანიშნული მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ან სხვა სანდო პირი, რომელიც არასრულწლოვნის სახელით და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად მოქმედებს. საპროცესო წარმომადგენელი იმავე უფლებებით სარგებლობს, რომლითაც კანონიერი წარმომადგენელი.⁴³

შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის როლი არც თუ ისე დიდი მნიშვნელობის მატარებელია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად დაზარალებულია ფიზიკური ან იურიდიული პირი რომელსაც შეიძლება ზიანი მისდგომოდა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ. პროკურორი საქმის მსვლელობის პროცესში დაზარალებულთან გადის კონსულტაციას. მნიშვნელოვანი სიფრთხილით ეკიდება მის მოსაზრებებსა და მოთხოვნებს, რათა არ გამოიწვიოს დაზარალებულის უკმაყოფილება და გაღიზიანება. პროკურორი ასევე ვალდებულია აუხსნას დაზარალებულს, განრიდების პროცესში მონაწილეობის სასარგებლო და მნიშვნელოვანი გარემოებები, რა დადებითი მხარეები შეიძლება ქონდეს ამ პროგრამაში ჩართულობას და ა.შ. კანონმდებლობის შესაბამისად დაზარალებულის სტატუსი დაყვანილია მოწმის სტატუსის დონემდე, თუმცა მოწმესთან შედარებით ის გარკვეული უპირატესობით სარგებლობს. მოწმისაგან განსხვავებით დაზარალებულს მიენიჭა ინფორმაციის მიღების უფლება საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას დაზარალებულს ატყობინებს პროკურორი მისი მოთხოვნის შესაბამისად. ინფორმაციის მიღების უფლებაში იგულისხმება დაზარალებულის შესაძლებლობა, იყოს ინფორმირებული გამოძიებისა და სასამართლო წარმოების მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ. ინფორმაცია მოიცავს ტექნიკურ საკითხებს და ასევე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ამსახველ ცნობებს.⁴⁴

იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული უარს აცხადებს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, მაშინ პროკურორი აძლევს მას დროს, რათა დაფიქრდეს და ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. თუ დაზარალებული განაცხადებს თანხმობას, და არ აქვს მკვეთრად ნეგატიური პოზიცია, პროცესში ერთვება მედიატორი. მედიატორი ხვდება დაზარალებულს და

⁴³ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-12 ნაწილი.

⁴⁴ „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016. გვ.7.

უზრუნველყოფს მის არასრულწლოვანთან შერიგებას. ხოლო თუ დაზარალებული არ არის თანახმა მედიაციაში მონაწილეობაზე, მაშინ ხდება არასრულწლოვანის განრიდება მედიაციის გარეშე. მედიაციის შემთხვევაში, პროკურორი გადაწყვეტილებას იღებს საბოლოო დასკვნით შეხვედრაში. საჭიროების შემთხვევაში განმარტავს ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც არასრულწლოვანის ვალდებულებებს ეხება. მედიაროტი არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის შუამავლის როლს ასრულებს, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს.⁴⁵

დაზარალებულის უარი განრიდებაზე ან მედიაციაში მონაწილეობაზე არ აბრკოლებს განრიდების პროცესს.⁴⁶

პროკურორი დაზარალებულს განუმარტავს განრიდების გამოყენების ეფექტურობას და კონსულტაციის შემდეგ შესაბამის ოქმში ფიქსირდება დაზარალებულის პოზიცია განრიდების სუბიექტის მიმართ განრიდების გამოყენების ან არ გამოყენების შესახებ. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დაზარალებულის პოზიცია არ არის გადამწყვეტი და პროკურორს აქვს უფლება არ გაითვალისწინოს დაზარალებულის უარყოფითი პოზიცია განრიდებისადმი.

როდესაც არ არსებობს კონკრეტული დაზარალებული, ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს კლასიკური მედიაციის განხორციელება. კლასიკური მედიაციის შემთხვევაში ხდება დაზარალებულის მიერ შიშების დაძლევა, რომელიც გამოიწვია ჩადენილმა დანაშაულმა, რაც იურიდიული პირების შემთხვევაში წარმოუდგენელია.⁴⁷

იურიდიული ფირმის წარმომადგენლისთვის უმნიშვნელოა დანაშაულის მხრიდან ბოდიშის მოხდა და მასთან შერიგებაზე საუბარი. იმ დანაშაულებრივმა ქმედებამ, რომელმაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს.⁴⁸

ახლო ნათესავი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება იყოს- არასრულწლოვანის მშობლები, მშვილებელი, შვილი,

⁴⁵ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილი.

⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., გამომცემელი იურისტების სამყარო, თბილისი, 2015 წ. გვ.174

⁴⁷ Kaspar, J., Juveniles Diversion and Mediation, 2004.S.107

⁴⁸ „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016. გვ.7.

მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, და, ძმა , მეუღლე (მათ შორის განქორწინებული).⁴⁹

არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა განპირობებულია იმით, რომ მას სრულწლოვანი ბრალდებულისგან განსხვავებით ცხოვრებისეული გამოუცდელობის გამო, არ შეუძლია საკუთარი თავის, პოზიციის დაცვა. განრიდებისა და მედიაციის პროცესში არცერთ მხარეს არ სჭირდება საკუთარი პოზიციის დაცვა, მედიატორი იცავს ორივე მხარის ინტერესს, საპირისპირო მხარესთან უთიერთობის დროს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ უირიდიულ ლიტერატურაში უარყოფითად არის შეფასებული მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობა ერთ-ერთი მხარის დამცველად. დამცველს არ გააჩნია მედიაციის შესახებ საკმარისი ცოდნა და არ სჯერა არასამართლებრივი მექანიზმების გარეშე კონფლიქტების მოგვარების. ადვოკატის მონაწილეობის დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატის მიერ მედიატორი საპირისპირო მხარის „წარმომადგენლად „, მისი პოზიციის დამფიქსირებლად, უფლებების დამცველად აღიქმება (მაგ. დაზარალებულის ადვოკატი ფიქრობს, რომ მედიატორი ბრალდებულის მხარეს არის და ციხიდან მის დახსნას ან სასჯელის ზომის შემცირებას ცდილობს).⁵⁰

ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ეცდება კლიენტს თავზე მოახვიოს საკუთარი პოზიცია, თუნდაც ჰონორარის გამართლების მიზნით, რაც გაართულებს მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის პროცესს.⁵¹

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში სოციალური მუშაკის საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის N29 ბრძანებით, რომელიც ეხება განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლსა და საქმიანობის წესს. აღნიშნული ბრძანების თანახმად, სოციალური მუშაკი არის არასაპატიო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში და ამავდროულად გავლილი აქვს გრძელვადიანი ტრენინგი სოციალური მიმართულებით“.⁵²

⁴⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილი

⁵⁰ მ. შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბილისი, 2013. გვ.59;

⁵¹ ცერცვაძე გ., მედიაცია. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა. თბილისი, 2010. გვ.333;

⁵² საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N29, 2011 წლის 22 თებერვალი, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე;

სოციალური მუშაკი განრიდება-მედიაციის პროცესში მას შემდეგ ერთვება, როცა პროკურორი მიმართავს წერილობით პრობაციის უფროსს არასრულწლოვანის განრიდების თაობაზე და წარუდგენს შესაბამის დოკუმენტაციას. პრობაციის უფროსი საქმეში ჩართავს სოციალურ მუშაკს, რომელიც ხვდება პროკურორს, ამის შემდგომ, სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს და მის მშობლებს, განუმარტავს მათი თანამშრომლობის ეტაპებს და მის, როგორც სოციალური მუშაკის როლს და მოვალეობებს განრიდება-მედიაციის პროგრამაში. თუ არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი გამოთქვამენ თანხმობას სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე, მაშინ სოციალური მუშაკი იწყებს არასრულწლოვანის პირველად ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას; ხოლო თუ არასრულწლოვანი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი აცხადებენ უარს სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე, მაშინ სოციალური მუშაკი განუმარტავს მათ, რომ უარის შესახებ ეცნობება შესაბამის პროკურორს, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.⁵³

სოციალური მუშაკი არასრულწლოვანის პირველადი ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასების შემდეგ, იძლევა დასკვნას და რეკომენდაციებს ხელშეკრულების პირობებისთვის. რომელსაც შეიმუშავებს პროკურორთან შეხვედრის შემდეგ ხოლო სრულ დასკვნას წარუდგენს 2 კვირის ვადაში. პროკურორი სოციალური მუშაკის რეკომენდაციის გათვალისწინებით ადგენს არასრულწლოვანისათვის განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების პირობებს.

პირველი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებისას სოციალური მუშაკი არასრულწლოვანის საჭიროებების, რისკებისა და უნარების, არასრულწლოვანის ჯამრთელობის, განათლების, ფსიქოლოგიური განვითარების და სოციალური მდგომარეობის შესახებ იღებს ინფორმაციას, რის შემდეგაც, საკუთარი დაკვირვებების შედეგად, ავსებს პირველადი შეფასების ფორმას. პროკურორი სრული ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების საჭიროების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოციალური მუშაკის რეკომენდაციით, არასრულწლოვანის პიროვნებისა და საქმის სირთულიდან გამომდინარე.

სრული ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების მიმდინარეობისას, სოციალურმა მუშაკს აქვს შესაძლებლობა ჩართოს არასრულწლოვანის ოჯახის წევრები. ოჯახის წევრების ჩართვა ითვალისწინებს არასრულწლოვანის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას. პროკურორი და სოციალური მუშაკი ერთობლივად განიხილავენ ბიო-

⁵³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორი 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384-ს, დანართი პირველი.

ფსიქო-სოციალური შეფასების დასკვნასა და რეკომენდირებულ ღონისძიებებს.⁵⁴

გარდა ზემოთ აღნიშნულისა სოციალური მუშაკი ახორციელებს არასრულწლოვნის მიერ განდრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს, რომელიც გრძელდება ხელშეკრულების დასრულებამდე. თვეში ერთხელ სოციალური მუშაკი ვალდებულია პროკურორს წარუდგინოს ანგარიში არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი ყოველგვარი ობიექტური მიზეზების გარეშე არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, სოციალური მუშაკს აქვს ვალდებულება ამის შესახებ აცნობოს პრობაციის ბიუროს უფროსს და პროკურორს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება არასრულწლოვნის მედიაციის პროცესში ჩართვა, საქმეში მონაწილეობს მედიატორი. მედიატორი არის სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც ასრულებს შუამავლის როლს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის, მედიატორი წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული თუ კონკრეტულად რა პროფესიის უნდა იყოს მედიატორი, თუმცა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირში მოიაზრება ისეთი ადამიანი, რომელსაც პროფესიულ დონეზე შესწევს ის უნარ-ჩვევები, რომელიც უზრუნველყოფს კომფლიქტის რეგულირებას და მოგვარებას. მედიატორი არც ფსიქოლოგია, არც პედაგოგი და არც ადვოკატი, შესაბამისად მედიაციის დროს ამ პროფესიებიდან მხოლოდ ერთ-ერთის ძირითად ნორმებზე ორიენტირება ადამიანს კარგ მედიატორად ვერ არ ჩამოაყალიბებს.⁵⁵

უირისტების ამ მიდგომის უპირისპირდებიან ფსიქოლოგები, რომელთა მოსაზრებაც საკმაოდ საინტერესოა. მათი აზრით, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე, ფლობენ კომუნიკაციის და კონფლიქტის რეგულირების იმ ძირითად საფუძვლებს, რაც მედიატორისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს თუ რა პროფესიის შეიძლება იყოს მედიატორი, ამ შემთხვევაში, კანონმდებლობა ზოგადი განმარტებებით შემოიფარგლება, და ხაზს უსვამს პიროვნულ მახასიათებლებს, რომელიც უნდა გააჩნდეს მედიატორს, რაც შეიძლება ჩაითვალოს ნორმის ხარვეზად, რადგანაც არ არის განსაზღვრული თუ როგორ ხდება მედიატორის თვისებების შეფასება.

⁵⁴ იქვე. ნაწილი 3

⁵⁵ Haft, F., Gräfin von Schlieffen, k. (Hrsg.), 2009. S. 268. 16;

მედიაციის დროს მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, მაგრამ ხშირად მედიაციის დროს აუცილებელია სამართლის ნორმების ცოდნა. თუ მედიატორი მხარეს რაიმეს დაპირდება და აღმოჩნდება, რომ სამართლის ნორმები დაპირებულ საკითხს სხვაგვარად არეგულირებს, და შესაბამისად, შეუძლებელია მედიატორის დაპირების შესრულება, მედიატორი დაკარგავს მონაწილის ნდობას, რაც გაართულებს მედიაციის პროცესს.

შესაბამისად, მედიატორი არა მარტო კომუნიკაბელური პიროვნება უნდა იყოს, არამედ იმ სფეროში, რომელშიც იგი მედიაციას ახორციელებს, უნდა გააჩნდეს საკმარისი საკანონმდებლო ნორმების ცოდნა. კანონმდებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მედიატორის მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის საკითხს. მედიატორი შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, თუ იგი ფინანსურადაც და ინსტიტუციურად რომელიმე მხარეს არ წარმოადგენს და საქმისადმი პირადი ინტერესი არ გააჩნია.⁵⁶

მედიატორსა და მხარეებს შორის არ უნდა არსებობდეს ნათესაური, მეგობრული ან/და პროფესიული კავშირი. აღნიშნული ჩანაწერები პირდაპირ უკავშირდება მედიატორის მიკერძოების თავიდან აცილებას. მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, მედიატორისთვის ძნელია ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, რადგანაც მედიაციის პროცესიდან გამომდინარე, შესაძლებელია მედიატორს მოუწიოს, რომელიმე მხარეს უფრო მეტად ედგეს გვერდში. (მაგ. დაზარალებულის დაყოლიებას უფრო მეტ დროსა და ენერჯიას მოანდომებს, ვიდრე დამნაშავეს, შესაბამისად, იგი შეიძლება იყოს დაზარალებულის ინტერესის გამტარებელი) ამიტომაც სასურველია მედიატორის „შედარებით ნეიტრალურობაზე“ საუბარი.

მედიაციის სხვადასხვა სახის გამო შეუძლებელია მედიატორის ცნების ერთიანი ჩამოყალიბება. შეიძლება ვთქვათ, რომ მედიატორი უნდა იყოს მედიაციის მონაწილე მხარეებისათვის (დამნაშავესა და დაზარალებულისათვის) მისაღები პიროვნება, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა და თვისებები აქვს, რათა მოახდინოს მხარეთა მოთხოვნილებების გათვალისწინება, შეჯერება-ანალიზი და კონპლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. მედიატორი მედიაციის განხორციელების პროცესში უნდა იყოს :

- ნეიტრალური და არა (რომელიმე მხარის) ინტერესების წარმომადგენელი;
- ინტერესების მკვლევარი და არა (რომელიმე მხარის) ინტერესების წარმომადგენელი;
- (დამნაშავეს დაზარალებულთან შერიგების) პროცესზე პასუხისმგებელი;
- შემოქმედებითი და არა პრეტენზიული;

⁵⁶ იქვე, გვ.868

- მონაწილეთა პიროვნების პატივისცემელი და არა ყველა საშუალების გამოყენებით შედეგებზე ორიენტირებული;
- კომუნიკაბელური და არა ჩაკეტილი;
- მომთმენი და არა სულსწრაფი.⁵⁷

ერთ-ერთი პირველი მედიატორი ნატა ზაზაშვილი თავის ჩანაწერებში ამბობს: „მედიატორი ერთნაირად უნდა იყოს განწყობილი ორივე დაპირისპირებული მხარის მიმართ, არ უნდა ეძებოს მტყუანი და მართალი, არამედ იზრუნოს მხარეებს მიეცეთ საშუალება თავისუფლად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, ემოციები და მიაღწიონ შეთანხმებას“.⁵⁸

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს მედიატორის მაქსიმალურ ობიექტურობას და ნეიტრალობას. მედიატორს უნდა ქონდეს აქტიური მოსმენის, მონათხრობის განმეორების უნარი და იმოქმედოს რეალური სიტუაციიდან გამომდინარე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში თითოეული მონაწილის როლი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. იმისათვის, რომ პროგრამა წარმატებით განხორციელდეს და დადგეს სასურველი შედეგი, აუცილებელია უფლებამოსილი პირების ქმედების მაქსიმალური შესაბამისობა განრიდებისა და მედიაციის ძირითად პრინციპებთან.

2.2 განრიდების გამოყენების პროცედურები და ხელშეკრულების პირობები

„მედიაციის წარმატებით დასრულება აუცილებლად უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით. ეს შეთანხმება ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა.“⁵⁹ ხელშეკრულების გაფორმების წესი, პირობები, უფლებამოსილი პირი და პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120 ბრძანებით „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განდრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების, ასევე ყველაზე მსუბუქი საშუალების და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის მიმართ, რომლის შესახებაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში განიხილება განრიდების შესაძლებლობა. პროკურორი იღებს

⁵⁷ მ.შალიკაშვილი გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა) თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წ. გვ.125;

⁵⁸ მ. შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბილისი, 2013. გვ.61;

⁵⁹ თ. მახარობლიძე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი, 2017. გვ.86;

გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ, თუ არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად და მისი რესოციალიზაცია რეაბილიტაციისთვის აუცილებელი არ არის სისხლისამართლებრივი დევნა და თუ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რომლებიც სისხლისამართლებრივი დევნით შეილახება, აღემატება იმ სხვა საზოგადოებრივ ინტერესებს, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის შედეგად იქნებოდა დაცული.⁶⁰

სოციალური მუშაკი ატარებს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას. ამ შეფასების ანგარიშს, რეკომენდაციას განრიდების ღონისძიების შესახებ და ხელშეკრულების სხვა სარეკომენდაციო პირობებს სოციალური მუშაკი, საქმის მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს პროკურორს. თუ აღნიშნულ დროში გონივრული მიზეზის გამო ვერ მოხერხდა სამუშაოს შერულება, შესაძლებელია ვადის გაგრძელება ამ მიზეზის აღმოფხვრამდე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება პროკურორს. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არსრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდირებული ღონისძიებები.⁶¹

ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან და მედიაციის შემთხვევაში -მედიატორთან ერთად განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს. პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ არასრულწლოვნისა და დაზარალებულის ინტერესებს.

ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს :

- ხელშეკრულების მოქმედების ვადა ;
- ხელშეკრულების შედგენის დრო და ადგილი;
- პროგრამაში მონაწილე პირთა მონაცემები;
- ხელშეკრულების პირობების შერულების ადგილი (მუნიციპალიტეტი);
- მითითება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს;
- განრიდების ღონისძიების სახე და სხვა პირობები;
- ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები და ხელშეკრულების შეწყვეტისა და შეჩერების საფუძველები.

ასევე შესაძლებელია ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნეს სხვა პირობები, პროკურორის, არასრულწლოვნის, ადვოკატის ან მისი კანონიერი

⁶⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120 ბრძანება;

⁶¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი;

წარმომადგენლის, სოციალური მუშაკის, მედიატორის და დაზარალებულის თანხმობის საფუძველზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს:

- განსაზღვრული ადგილის ან/და პირის/პირების მონახულება;
- ბინადრობის ადგილის შეცვლა;
- დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა;
- ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დატოვება;
- სხვა ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს:

- სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება;
- სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება;
- საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა;
- თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება;
- სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.⁶²

ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისთანავე, პროკურორს გამოაქვს დადგენილება სისხლისამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის შესახებ. სოციალური მუშაკი მონიტორინგს უწევს ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობას, რის შესახებაც წერილობითი ფორმით პროკურორს გადასცემს ინფორმაციას. წერილობითი ფორმით მიმართავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ. თუ არასრულწლოვანი შეასრულებს განრიდების ან განირდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული მოვალეობებს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი განრიდების ღონისძიებას განზრახ არ ასრულებს, ამის შესახებ სოციალური მუშაკი აცნობებს პროკურორს, რომელიც, აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, არასრულწლოვანის, მისი კანონიერი წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მოსაზრებების მოსმენის შემდეგ აუქმებს ან/ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის

⁶² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45- მუხლის პირველი და მეორე ნაწილი;

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას“.⁶³

შესაძლოა არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა განაპირობოს კონკრეტული ობიექტური პირობის და ბარიერების არსებობამ. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკი და პროკურორი, ერთობლივი შეთანხმების შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებას ხელშეკრულებაში არსებული პირობის შეცვლის ან ჩანაცვლების შესახებ. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა საჭიროებს მონაწილე მხარეების თანხმობას. ხელშეკრულების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 1 წელი. აღნიშნული გარემოება შესაძლებელია ჩაითვალოს კანონმდებლობის ხარვეზად, როდესაც პროგრამის მთვარი პრინციპია არასრულწლოვნის ინტერესის დაცვა და თითოეული შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას, ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ვთვქვათ, რომ არასრულწლოვანს არ აქვს უფლება ისარგებლოს ერთ წელზე მეტი ვადით. როდესაც გადაწყვეტილების მიღება ხდება შეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, ყოველგვარი შეზღუდული ვადების არსებობის გარეშე შესაძლებელია მიღებულიყო ინდივიდუალურად შერჩეული გადაწყვეტილება.

პროკურორი განრიდება-მედიაციის პროცესში ხემძღვანელობს სტანდარტული მეთოდით. ხშირ შემთხვევაში პროკურორი ითხოვს მაქსიმალური სისწრაფით მოხდეს არასრულწლოვნის შეფასება და კონფერენციის ჩატარება, რაც გამორიცხავს ინდივიდუალურ მიდგომას იმ მონაცემების მიმართ, რაც აქვს არასრულწლოვან პირს. მედიატორების ჩანაწერებიდან ჩანს ის პრობლემა რომელიც არსებობს განრიდება-მედიაციის პროცესში: ა) მონაწილეთა შიში პროკურორის მიმართ; ბ) განრიდება მედიაციის სწრაფად განხორციელება; გ) პროკურორის მიერ ძალაუფლების გამოყენება. სამივე ეს საკითხი ეწინააღმდეგება განრიდების და მედიაციის აუცილებელ პრინციპს: მონაწილეთა თავისუფალი ნება და ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება. შიში პროკურორების მიმართ და პროკურორის მიერ ძალაუფლების გამოყენების საკითხი მეტად საყურადღებო გარემოებას წარმოადგენს. თუმცა შესაძლოა პროკურორი სულაც არ იყენებდეს თავის ძალაუფლებას მონაწილე მხარეების მიმართ არასასურველად, მაგრამ პროკურორის ჩართვით აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე პირებს უჩვენათ შიში, რომელიც გამოწვეულია ადამიანის დამოკიდებულებიდან სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურების მიმართ.⁶⁴

ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ პროკურორის მიმართ შიშმა შესაძლებელია არასრულწლოვანი და კანონიერი წარმომადგენელი ჩააყენოს არათანაბარ

⁶³ იქვე. 47-ე, 48-ე მუხლები;

⁶⁴ ქუთათელაძე მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში“, თბილისი, 2017, გვ.148;

მდგომარეობაში, რაც ეწინააღმდეგება განრიდება-მედიაციის ძირითად პრინციპს-მონაწილეთა თავისუფალი ნების გამოყენების შესახებ. ხოლო თუ განრიდება-მედიაცა განხორციელდება შეუსაბამოდ მოკლე ვადაში, ან/და არასაკმარისად იქნება შესწავლილი და შეფასებული არასრულწლოვნის პიროვნული მოთხოვნები, ეს გარემოება ხელს შეუშლის მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესების სრულყოფილ დაცვას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განრიდება-მედიაციის მექანიზმი დროთა განმავლობაში დაიხვეწა და გაუმჯობესდა. 2016 წელს ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, არასრულწლოვნების გარდა, განრიდების პროგრამა შესაძლებელია გავრცელდეს 18-დან 21-წლამდე პირებზეც. განრიდების უფლებამოსილება მიენიჭა ასევე სასამართლო ორგანოს. მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, განრიდების მიზნით საქმე დაუბრუნოს პროკურორს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პროკურორის და სოციალური მუშაკის დასწრება მედიაციის კონფერენციაზე აღარ არის სავალდებულო ხასიათის მატარებელი. რას შესაძლებელია შეფასდეს წინგადადგმულ ნაბიჯად.

თავი III. პროკურორი განრიდების პროცესში

3.1. პროკურორის დისკრეციის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კანონმდებლობა განმარტავს დისკრეციული უფლებამოსილების ცნებას- უფლებამოსილება რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან აირჩიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მისაღები გადაწყვეტილება.⁶⁵

დისკრეციული უფლებამოსილების პროცესში აუცილებელია, ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს. შეუძლებელია ცალკე აღებული, რომელიმე საჯარო ან კერძო ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი შეპირისპირება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე შერჩეულმა პირმა და მის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებკანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, ანუ მიზნის მიღწევის საშუალება უნდა შეესაბამებოდეს მიზანს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მის მიერ ხელთ არსებული რამდენიმე საშუალებიდან იყენებს იმას, რომელიც ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია პირის კანონიერი ინტერესებისა და უფლებებისათვის. დისკრეციული უფლებამოსილების

⁶⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი.

მინიჭება არ გულისხმობს სრული თავისუფლების მინიჭებას. როდესაც დისკრეციული უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი არ უწევს ანგარიშს კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული მოქმედების თავისუფალ სივრცეს, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ღონისძიება არის უკანონო.⁶⁶

დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, პირველ რიგში ემსახურება სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს. ხშირ შემთხვევაში ორგანო შესაძლო ღონისძიებებიდან იყენებს იმას რომელიც ნაკლებად ზიანის მომტანია კონკრეტული პირისათვის და იღებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ გადაწყვეტილებას ფაქტების ობიექტურად და ყურადღებით შესწავლის საფუძველზე.⁶⁷

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების ვალდებულებას, გამოძიების დაწყების ვალდებულებისაგან განსხვავებით. გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ სსკ გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით პროკურორის ექსკლუზიური უფლებაა და არც ერთ სხვა სტრუქტურას/პირს არ გააჩნია დევნის დაწყების ან/და ბრალდებაზე უარის თქმის კომპეტენცია. ყოველი საქმე უნიკალურია და საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. ამიტომ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების ან/და შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას პროკურორი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, დანაშაულის პრევენციისა და სასჯელის გარდაუვალობის პრინციპს

⁶⁶ ტურავა პ., წვეკლაძე ნ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“ ქ.თბილისი, 2010. გვ.38;

⁶⁷ სტატია- „დისკრეციული უფლებამოსილების პრინციპები მართვის ბიუროკრატიულ სისტემაში“ გორგილაძე ხ., ქ.თბილისი, 2017. გვ.28;

<https://nier.ge/images/4/Kh.%20Gorgiladze.pdf>(მოძიებულია 8/14/2020)

და მეორე მხრივ, ინდივიუალიზებული მიდგომის საფუძველზე, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სასჯელის მიზნების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებას, უფლებების არამართლზომიერად შეზღუდვების გარეშე. პროკურორმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შინაგანი რწმენისა და საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. მათ შორის დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის პიროვნული მახასიათებლების და დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით. დისკრეციული უფლებამოსილება ხელს უწყობს პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებას, სტიგმატიზაციის თავიდან აცილებას და სასჯელის ეფექტურობის გაზრდას, სისხლისამართლებრივი სისტემის მოქნილობას და ეფექტიანობას, საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ხარისხიანი სისხლისამართლებრივი დევნის წარმოებას, საპროცესო ეკონომიკის, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვას“.⁶⁸

დისკრეციული უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძველია კანონი. იმის გასაგებად შეიძლება თუ არა, კონკრეტულ შემთხვევაში, დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მსჯელობა, საყურადღებოა შემდეგი სიტყვები: უფლება აქვს“, „უფლებამოსული“. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების დროს აუცილებელია სხვა პრინციპების გამოყენება, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თანაზომიერების პრინციპი.⁶⁹

პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. დისკრიმინაციული უფლებამოსილება მრავალმხრივი ინტერპრეტაციისა და ფართო ლავირების საშუალებას იძლევა. არასწორად მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა ზიანი

⁶⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, საქართველოსა და ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. გიორგაძე, გამომცემლობა მერიდიანი, ქ.თბილისი, 2015. გვ.127.

⁶⁹ ქუთათელაძე მ.- „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში“ ქ.თბილისი, 2017. გვ.108;

მიაყენოს როგორც კონკრეტული პირის უფლებებსა და ინტერესებს, ასევე მთელ საზოგადოებას. რეკომენდაციები მიზნად ისახავს პროკურორის ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მოქცევას ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების ჩარჩოებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო სტრუქტურულს, თანმიმდევრულსა და გამჭვირვალეს გახდის. განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, ამასთან, ხელსშეუწყობს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შეძლებისდაგვარად ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ამავდროულად პროკურორის გადაწყვეტილების თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს იმგვარად, რომ საფრთხე შეექმნას სისხლისამართლებრივი სისტემის მოქნილობას და ეფექტურობას, ყოველი კონკრეტული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების არსებითი ნაწილია იმის გარკვევა, თუ რამდენად ემსახურება დევნის დაწყება არსებით საჯარო ინტერესს. პროკურორმა უნდა გაანალიზოს, არის თუ არა საჯარო ინტერესიში დევნის დაწყება და დევნა არ უნდა დაიწყოს მაშინ, როცა დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაჭონის პირის დასჯის ინტერესს. საჯარო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: ა) სახელმწიფო სამართლებრივი პრიორიტეტები; ბ) დანაშაულის ბუნება და სიმძიმე; გ) სისხლისამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა; დ) პირის ბრალეულობის ხარისხი; ე) პირის კრიმინალური წარსული; ვ) გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი; ზ) პიროვნული მახასიათებლები; თ) მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგები. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ აღნიშნული გარემოებანი არ არის ამომწურავი. თუმცა ჩამოთვლილი მახასიათებლების გათვალისწინება ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.⁷⁰

⁷⁰ იქვე. გვ.110;

3.2. განრიდება, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება

განრიდების პროცესში პროკურორის როლი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, შეიძლება ითქვას რომ ის არის მთავარი სუბიექტი აღნიშნული პროექტის განხორციელებისას. მსოფლიოში საპროცესო კანონმდებლობის მიმართულებით ხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ხელს უწყობს ლიბერალური პოლიტიკის განვითარებას. აქედან გამომდინარე სახელმწიფოების მიზანია მოძებნოს არა მკაცრი სისხლისამართლებივი პოლიტიკა, არამედ ახალი გზა ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საქმეებზე ინერგება იუვენალური იუსტიციის (არასრულწლოვანთა საქმეებზე) ლიბერალური მოდელები, აღდგენითი სამართალწარმოება- სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების დამთავრება ბრალდებულის და დაზარალებულის შერიგებით, სადაც ჩართულია მედიატორი. აღნიშნული შედეგით საქმის დასრულება დამოკიდებულია პროკურორზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად , მინიჭებული აქვს შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების (განრიდება/მედიაცია) გამოყენების შესახებ და მას კანონი აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებასაც არ ავალდებულებს.⁷¹

მიმაჩნია რომ, პროკურორის ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვა და შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება , შესაძლებელია ეჭვის გამომწვევი ფაქტორი გახდეს, ჩნდება სუბიექტივიზმის ეჭვი დისკრეციული უფლებამოსილების უკან, ირღვევა თუ არა კონსტიტუციით დაა

⁷¹ ქუთათელაძე მ., მართლმსაჯულება და კანონი 1(49), თბილისი, გვ.123;

საერთაშორის ნორმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების გარანტირებული პრინციპები. იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ეჭვი მინიმალურ დონეზე დავიყვანოთ განდირება-მედიაციის მიმართ, აუცილებელია საკანონმდებლო ნორმებით განისაზღვროს, თუ რა სახის კონტროლი უნდა განხორციელდეს პროკურორის შეუზღუდავ დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო არ არის დემოკრატიის იმ სიმაღლეზე, სადაც შესაძლებელი იქნება ძირითადი ნორმების/პრინციპების მაქსიმალური დაცვა. სახელმწიფომ კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა განსაზღვროს რა მექანიზმები და რესურსები გააჩნია, რათა მაღალი თანამდებობის პირების მიერ არ მოხდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

„სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებასა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.“ აღნიშნული ნორმა ხელს უწყობს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციას. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებათაა.⁷²

პროკურორებს სრული თავისუფლებით სარგებლობენ დევნის განხორციელების სფეროში. საჯარო და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, დაიწყოს თუ არა სისხლისამართლებრივი დევნა.⁷³

⁷² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლი;

⁷³ მეურმიშვილი ბ., სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2014, გვ.170;

დისკრეციული უფლებამოსილება ნიშნავს, რომ პროკურორი უფლებამოსილია არჩევანი გააკეთოს სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებასა და სისხლისამართლებრივი წარმოების შეწყვეტის შესახებ.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაზე სრულად ვრცელდება პროკურორის დისკრეცია და მხოლოდ მას აქვს უფლება ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება გამოიყენოს თუ არა აღნიშნული პროგრამა კონკრეტული პირი მიმართ. პროკურორის გადაწყვეტილება განრიდებისა და მედიაციის გამმოყენების/არ გამოყენებაზე არც საკანონმდებლო ნორმებით და არც სასამართლო წესით არ ექვემდებარება კონტროლს, რაც საკანონმდებლო ნოვაციის არაობიექტურ და არაეფექტიან განხორციელებაზე მიუთითებს. განრიდება-ეს არის დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც აქვს პროკურორს, ანუ პროკურორს არ გააჩნია ვალდებულება დაასაბუთოს, რატომ გამოიყენა ან არ გამოიყენა ესა თუ ის ღონისძიება, კონკრეტულ შემთხვევაში-განრიდება. ლოგიკურია, თუ პროკურორს არ ევალება დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება, ვერც მისი გასაჩივრების შესაძლებლობა იარსებებს. პროკურორი ვალდებულია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის და სხვა ფაქტორების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს ალტერნატივა, მაგრამ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება მას არ გააჩნია. ვინაიდან არ არსებობს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, აღნიშნულის მხრივ, დაზარალებულს არ აქვს უფლება სასამართლო კონტროლის მეშვეობით შეძლოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.⁷⁴

⁷⁴ ქუთათელაძე მ., მართლმსაჯულება და კანონი 1(49), თბილისი, გვ.126;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით შეუძლია უარი თქვას სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე. პროკურორი არჩევანის უფლებით სარგებლობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება პირის ბრალეულობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პროკურორი მოქმედებს საჯარო ინტერესების და სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე.

სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ერთჯერადად ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია გასაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. იმ შემთხვევაში თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში (სსსკ 168 მუხლი). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღევანდელი კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლებელია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენება, ე.ი პროკურორის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება. აღნიშნული წარმოადგენს ნორმის ხარვეზს, რადგანაც დაზარალებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე

დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს:

- უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;
- დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;
- მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე;
- ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში-ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.⁷⁵

მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორისთვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, აუცილებელია პროკურორისთვის გარკვეული ზომით დისკრეციის მინიჭება. თუ ეს უფლება სწორად იქნება გამოყენებული, იგი ხელს შეუწყობს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ქართული კანონმდებლობით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და არა ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და ღირსების შელახვა. პროკურორისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების არჩევანი განვითარებულ

⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლი;

ქვეყნებს უკვე გაკეთებული აქვთ და როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, შედეგიც წარმატებულია.⁷⁶

ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლის ქვეყნები პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას დიდი ხანია იცნობს. მათი მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულია. ანგლო-ამერიკულ ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად პროკურორი საკუთარი შეხედულების შესაბამისად განსაზღვრავს დაიწყოს სისხლისამართლებრივი დევნა პირის მიმართ, თუ უარი თქვას აღნიშნული ქმედების განხორციელებაზე. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში პროკურორი ვალდებულია აღძრას სისხლის სამართლის საქმე, მტკიცებულებზე დაყრდნობით განახორციელოს სისხლისამართლებრივი დევნა და არსებულ მტკიცებულებებს მხარი დაუჭიროს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.

განრიდება-მედიაციის პროგრამა საქართველოს მაშტაბით, შეიძლება ითქვას ეფექტურად მიმდინარებს. ამას მოწმობს ის სტატისტიკური მონაცემები რაც ყოველთვიურად იცვლება.

განრიდება მედიაციის პროგრამა ქართულ კანონმდებლობაში 2010 წლიდან ჩნდება. 2014 წლიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორის დანაშაულებზეც. 2016 წელს ამოქმედდა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“. ამავე წელს განრიდება-მედიაციის პროგრამა გავრცელდა 18-დან 21წლამდე ასაკის პირებზეც. 2019 წელს მიღებულ იქნა „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“, რაც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქართულ კანონმდებლობაში. 2010 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში, განრიდებულ იქნა 4428 პირი. 2019 წლის მონაცემებით განრიდებული პირის რაოდენობა შეადგენს 797, აქედან 437 პირი 14-დან 18

⁷⁶ ქუთათელაძე მ., მართლმსაჯულება და კანონი 1(49), თბილისი, გვ.125;

წლამდე არასრულწლოვანია და 360 18-დან 31 წლამდე სრულწოვანი პირი. აქედან 408 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია. 2019 წელს განრიდებული პირიდან 702 მამრობითი, ხოლო 95 მდედრობითი სქესისაა. ასევე საყურადღებოა სტატისტიკური მონაცემები დანაშაულის კატეგორიის მიხედვით. კერძოდ, 2019 წელს არასრულწლოვნის წესით განრიდებული 797 პირიდან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 513 პირს, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაული-284 პირს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებულია განრიდების გამოყენების მონაცემები დანაშაულის კატეგორიის მიხედვით არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ. 2019 წელს 437 არასრულწლოვნიდან 240 განრიდებულ იქნა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, ხოლო 197 მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის. 360 18-დან 21 წლამდე ასაკის პირიდან 273 განრიდებული იქნა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო 87- მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის. როგორც ჩანს მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ, მკვეთრად აღემატება არასრულწლოვანთა მიმართ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების მაჩვენებელს. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი 6%- ით შემცირდა, ხოლო 2019 წელს კი კვლავ დაფიქსირდა არასრულწლოვანთა მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების მატება 5%-ით. დანაშაულთა ერთობლიობის დროს განრიდების მაჩვენებლის დათვლა დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით უფრო მძიმე კატეგორიების დანაშაულის შესაბამისად მოხდა. მნიშვნელოვანია დანაშაულთა ერთობლიობის რაოდენობის განსაზღვრა და დადგენა რა კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა გვქონდა სახეზე არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე პირთა განრიდების შემთხვევაში. 2019 წელს დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებულ იქნა 104 პირი. 2019 წელს დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებული 104 პირიდან 69 არასრულწლოვანი, ხოლო 35-18-დან 21

წლამდე ასაკის პირია. 2019 წელს განრიდებული 437 არასრულწლოვნიდან დანაშაულთა ერთობლიობა სახეზე გვქონდა 69 არასრულწლოვნის მიმართ. 360 განრიდებული 18-დან 21-წლამდე ასაკის პირისგან კი დანაშაულთა ერთობლიობა სახეზე გვქონდა 35 შემთხვევაში. სტატისტიკური მონაცემები მნიშვნელოვანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით. ძირითადად არასრულწლოვანთა მიერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა ხდება. შესაბამისად მაღალია განრიდების გამოყენების მაჩვენებელი ამ მიმართულებით. 2019 წლის მონაცემებით 437 განრიდებული არასრულწლოვნიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 296-ს, თუმცა წლებთან შედარებით შემცირდა ქურდობის ჩადენის პროცენტული მაჩვენებელი. 18-21 წლამდე განრიდებულ პირთა მიერაც უმრავლეს შემთხვევაში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია ჩადენილი. 2019 წელს განრიდებულ 18-21 წლამდე ასაკის 360 პირიდან 205-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რაც საერთო რაოდენობის 57%-ს შეადგენს. არასრულწლოვნებთან შედარებით 18-დან 21 წლამდე ასაკის პირების მიერ მაღალია 276 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტები. 2019 წლის მონაცემებით 797 განრიდებული პირიდან დაზარალებული დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე (ნარკოტიკული დანაშაული, იარაღის ტარება და ა.შ) არ იყო 44 შემთხვევაში. დანარჩენი 753 პირის მიმართ განრიდების პროცესი მედიაციით წარიმართა 408 განსარიდებელთან მიმართებაში. 2019 წლის მედიაციის საერთო მაჩვენებელი 2016-2018 წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა. მიუხედავად იმისა რომ მედიაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის მომატებული, მაინც არის შემთხვევები, როდესაც განრიდების პროცესის წარმართვა დაზარალებულის მონაწილეობის გარეშე ხდება. ამ შემთხვევაში თავად დაზარალებულები ამბობენ უარს (192 შემთხვევა), არსებობს მედიატორის მრიდან მედიაციის ჩაშლის

შემთხვევებიც (144 შემთხვევა). ძირითადი მიზეზი, რის გამოც დაზარალებული პროცესის ჩართვაზე უარის თქმის არის დროის არქონა. მნიშვნელოვანია განრიდება-მედიაციის სტატისტიკა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. 2019 წელს სულ არასრულწლოვნის წესით განრიდება 797 პირიდან 261 განრიდება იქნა თბილისის მაშტაბით, 519 რეგიონში, ხოლო 17-გენერალური პროკურატურის მიერ. განრიდების მიზნით 2019 წლის მონაცემებით 51 პირის საქმე დაბრუნდა სასამართლოდან. 2019 წელს განრიდება პირებიდან ხელშეკრულება დაარღვია 26-მა პირმა, საიდანაც 17-მა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. აქედან 10 არასრულწლოვანი, ხოლო 7 18-21 წლამდე ასაკის პირი იყო. ორი მათგანის მიმართ შეწყდა განრიდების პროცესი და ორივე მათგანი 18-დან 21-წლამდე ასაკისაა. მათ მიმართ დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა. დანარჩენ 15 პირს გაუგრძელდა განრიდების ხელშეკრულების მოქმედების ვადა.⁷⁷

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განრიდება მედიაციის/პროგრამა საქართველოში ეფექტურად ხორციელდება, რასაც არსებული მონაცემებიც ადასტურებენ. თუმცა არსებობს რიგი გარემოებები, რაც ხელს უშლის პროგრამის წარმატებით განხორციელებას, მაგ: დაზარალებულის უარი პროცესში ჩართვაზე, როდესაც უარის მიზეზად დროის არქონა სახელდება. ამ შემთხვევაში ჩანს მათი გულგრილი დამოკიდებულება პროგრამის მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად გამოიკვეთა ის ტენდენციები, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შემდგომში ეფექტიანი საქმიანობის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიების დაგეგმვის შესაძლებლობას.

⁷⁷ „არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის ანალიზი“ საქართველოს გენერალური პროკურატურა, ანალიზი მოიცავს არასრულწლოვანთა და 18-21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მონაცემებს 2019 წლის მდგომარეობით; <http://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted.pdf> (მოძიებულია 8/18/2020)

მოგეხსენებათ დღეს მსოფლიო ურთულესი ამოცანის წინაშე დგას, რაც გამოწვეულია კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული მოვლენებით. აღნიშნულმა ფაქტმა მძიმე სურათი შექმნა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. კორონავირუსის პანდემიის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჭირო გახდა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო განრიდებისა და მედიაციის განხორციელების პროცესს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 19 მარტის N507 ბრძანების შესაბამისად, კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანი გახდა განსაკუთრებული ღონისძიებების გამოყენება არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამებში. აღნიშნული ბრძანების მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისა და 18-დან 21 წლამდე პირების ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. განსაკუთრებული მიდგომა ასევე მიზნად ისახავს განრიდების პროგრამაში მონაწილე პირების, მათ შორის დაზარალებულის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას. ბრძანება ითვალისწინებს, მისი მოქმედების პერიოდამდე, შეჩერდეს გაფორმებული ყველა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების მოქმედება. თუ ამ ბრძანების ამოქმედების დღისთვის, ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე დარჩენილია 30 დღე ან ნაკლები და დგინდება, რომ არასრულწლოვანმა კეთილსინდისიერად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მნიშვნელოვანი ნაწილი, მას საპატიოდ შეიძლება ჩაეთვლოს ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილის შესრულება, ამის შემგომ პროკურორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.⁷⁸

⁷⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 19 მარტის N507 ბრძანება „არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა გამოიწვია კორონავირუსით გამოწვეულმა მდგომარეობამ, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია დაიცვას განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილე პირების ჯანმრთელობა, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მიდგომით რისკ ქვეშ დგება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ეფექტური განხორციელების საკითხი. ხელშეკრულების მოქმედების შეჩერებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ხელშეკრულების პირობების შემდგომში შესრულების შესაძლებლობა.

თავი IV. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება

არასრულწლოვნათა მართლმსაჯულების ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაეყარა ამერიკასა და ევროპაში. 19 საუკუნეში პირველად აშშ-ში გაჩნდა არსრულწლოვან დამნაშავეთა სამეურვეო მეთვალყურეობაში გადაცემის

იდეა. 1899 წელს კი, ილინოისის შტატში ჩაეყარა საფუძველი არასრულწლოვანთა სასამართლოს შექმნას. პირველად 1908 წელს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნორმები იქნა მიღებული ინგლისში, 1914 წელს კი საფრანგეთში ამერიკის მაგალითის საფუძველზე ჩამოყალიბდა არასრულწლოვანთა სასამართლო.

არიან სახელმწიფოები, რომლებიც ახდენენ არასრულწლოვანზე მორგებული გარემოს შექმნას და ინსტიტუციურად ქმნიან სრულიად სხვაგვარ სტრუქტურას და აყალიბებენ არასრულწლოვანთა დამოუკიდებელ სასამართლოებს. ასეთია: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი.⁷⁹

ამერიკის შეერთებულ შტატებში მტკიცებულების შეკრების შემდეგ, რომელიც საკმარისია იმ პირის სამხილებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და საქმის სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ, ხდება ბრალდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. პოლიციელი რომელიც ასრულებდა ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებს, უფროსს წარუდგენს ანგარიშს საქმის მიდმინარეობისას განხორციელებული ქმედების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი ეჭვმიტანილის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას ჩათვლის დადასტურებულად და ქმედების კვალიფიკაციის სისწორეს, საქმე გადაეცემა პროკურორს. პროკურორს გააჩნია უფლებამოსილება, შეცვალოს ან/და დააზუსტოს თავდაპირველი კვალიფიკაცია, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ. გადაწყვეტილებით პროკურორი საქმეს გადასცემს სასამართლოს გამარტივებული წესით განხილვისათვის, ან იღებს გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, ან გადაწყდეს საქმე ე.წ. დარეგულირების მეშვეობით პოლიციის განყოფილების დონეზე. მედიაციის პროგრამა

⁷⁹ გუცენკო ფ.კ, გოლოვკო ლ.ვ, ფილიმინოვი ბ.ა, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ.539

შესაძლებელია განხორციელდეს აღნიშნული სისხლისამართლებრივი საქმის წარმოების დროს. მედიაციის ინსტიტუტი აქტიურად გამოიყენება აშშ-ში და უმეტეს შემთხვევაში მოიცავს ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. განხილული ვარიანტების შემდეგ ეჭვმიტანილი თავისუფლდება პატიმრობიდან. პოლიციისთვის დანაშაულებრივი საქმე განსახილველია სასამართლოს მიერ. შეგროვებული საბრალდებო მასალების პროკურორისთვის გადაგზავნის შემდეგ, პროკურორი სისხლისამართლებრივ დევნას განაგრძობს სასამართლოში. მეცნიერები თვლიან, რომ გაცილებით მეტი პროცედურები და ყურადღებაა საჭირო საშიში დანაშაულების მიმართ. მსგავსი დანაშაულის დროს ხშირად პროკურორები მიმართავენ სასამართლოს საქმის წინასწარი განხილვის მიზნით, ან შემოწმებისთვის გააქვთ მსაჯულთა დიდი ჟიურის სხდომაზე. ამ ეტაპზე ხშირ შემთხვევაში ბრალდების ნაწილი წყდება, ან მნიშვნელოვნად მსუბუქდება. პროკურორები ხშირ შემთხვევაში ცდილობენ საქმის გადაკვალიფიცირებას და ამ გზით შესაძლებელია დანაშაული ჩაითვალოს არა საშიშად, არამედ ნაკლებად საშიშად. რაც იწვევს საქმის მედიაციით დასრულებას. პროკურორებს უწევთ ნაკლები შრომა, ბრალდებულების მიმართ წყდება სისხლისამართლებრივი დევნა, შესაბამისად გამოირიცხება მათი ნასამართლობაც. მედიაცია, როგორც სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, ამერიკელი ხალხისთვისაც მონაპოვარია.⁸⁰

გერმანიის კანონიერების პრინციპის თანახმად, პროკურატურა მიიღოს კანონის შესაბამისად გათვალისწინებული ზომები, სისხლისამართლებრივ დანაშაულებზე, როდესაც არსებობს დასაფუთებული ვარაუდი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ისეთი გარემოებები, რა დროსაც პროკურორი სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე გადაწყვეტილებას იღებს მიზანშეწონილობის პრინციპის შესაბამისად. როგორც ჩვენი, ასევე

⁸⁰ გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2007. გვ.149;

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ანიჭებს პროკურორს უფლებამოსილებას შეწყვიტოს სისხლისამართლებრივი დევნა ან/და უარი თქვას დევნის დაწყებაზე.⁸¹ აღსანიშნავია, რომ გერმანიაში საქმის მოკვლევა სრულდება, არა სასამართლოსთვის გადაცემით, არამედ საქმის შეწყვეტით.⁸²

ჯერჯერობით გერმანიის კანონმდებლობით და არც რომელიმე კოდექსით არ რეგულირდება და არ არის გასაზღვრული მედიატორთა კვალიფიკაციის საკითხი, პირებს, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთონ მედიაციაში და აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა პროცესებში. შესაბამისად გამოსაყენებელი სტანდარტები სხვადასხვაგვარია, სხვადასხვაგვარია ასევე მედიაციის ფორმები.⁸³

საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული იმ პირთა წრე თუ ვის არ შეუძლიათ იყვნენ მედიატორები დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის: პოლიციელები და მართლმსაჯულების სისტემის მოქმედი თანამშრომლები.⁸⁴

უმთავრესი მიზეზი აღნიშნული ფაქტისა არის, რომ მხარეებს არ შეეშინდეთ და დამკვიდრდეს გასწავლებული მიდგომა საქმისადმი. სასამართლო ორგანო მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მედიატორის აკრედიტაციას გადასცემს ნებისმიერ პირს რომელსაც ჩათვლის კომპეტენტურად. მედიატორები პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ მუშაობს და სწორედ პროკურორის მიერ ხდება მათი უფლებების დელეგირება. ამ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე მხარეებთან ერთად ხელს აწერს „ოფიციალურ ოქმს“.⁸⁵

⁸¹ იქვე. გვ.503;

⁸² Keidelberg K.H., Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht Laubenthal, Berlin, 2006;

⁸³ Tochtermann P., The German Mediation Act Alternative Dispute Resolution At The Crossroads, Published to Oxford Scholarship. 2012. P.43;

⁸⁴ საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის 1996 წლის 10 აპრლის ბრძანება N96-305, სისხლის სამართლის საქმეებზე მედიატორებისთვის დაწესებული მოთხოვნების შესახებ;

⁸⁵ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 41-ე მუხლი;

ინგლისი მიეკუთვნება ისეთ ქვეყნებს, სადაც მოქმედებს სისხლისამართლებრივი მიზანშეწონილობის პრინციპი. ინგლისში არასოდეს არსებობდა ფორმალური ზღვარი სასამართლოსა და მის წინამორბედ საპროცესო ქმედებებს (სისხლისამართლებრივი დევნის არძრვა, ბრალის წარდგენა, აღკვეთის ღონისძიება და ა.შ) შორის, ინგლისის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს პროცესუალურ დოკუმენტებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. პოლიცია უფლებამოსილია, აწარმოოს მტკიცებულებათა შეგროვება, რომელსაც თან ახლავს ცალკეულ შემთხვევაში იძულებითი ხასიათის პროცესუალური მოქმედებები. საგამომიებო ორგანო იყენებს უფლებამოსილებას და მიზანშეწონილობის პრინციპის საფუძველზე დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას ბრალის წარდგენასა და საქმის სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, ან წყვეტს უკვე დაწყებულ სისხლისამართლებრივ დევნას, სწორედ ეს არის ეტაპი ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში, სადაც თამამად შეიძლება საუბარი „მიზანშეწონილობის“ პრინციპის გამოყენებაზე.

აღსანიშნავია რომ ინგლისის სისხლის სამართლის კოდექსი არ ავალდებულებს შესაბამის უფლებამოსილ პირს დაასაბუთოს, თუ რატომ მიიჩნია საჭიროდ შეეწყვიტა სისხლისამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ, ან რატომ არ მისცა საქმეს მსვლელობა და რატომ არ წაუყენა ბრალი მას. ინგლისში სისხლისამართლებრივი დევნის არ დაწყების შესახებ უფლებამოსილი პირი არ ადგენს ოფიციალურ ოქმს. ინგლისში ერთ-ერთი ლორდი სიამაყით აცხადებს, რომ მის ქვეყანაში არასდროს ყოფილა კანონი, და იმედი აქვს, არც არასოდეს იქნება, როდესაც დანაშაულის მიმართ ეჭვიტანილი პირის მიმართ ავტომატურად დაიწყება სისხლისამართლებრივი დევნა. მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის გამოყენება ინგლისში შედარებით ფართოდ მიმდინარეობს, დღემდე არ არის კანონით მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე და მხოლოდ

სამართალშემფარდებელთა, იურისტ-თეორეტიკოსთა და საზოგადოების ინიციატივას წარმოადგენს. ამიტომაც აქ მედიაციის უამრავი ვარიანტი არსებობს, რაც ადგილობრივ თავისებურებებზე არის დამოკიდებული.⁸⁶

⁸⁶ ქუთათელაძე მ., „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში“, გვ.88;

დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომით ვეცადე, წარმომეჩინა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მნიშვნელობა და უპირატესობა, რაც ამ პროცესისთვის არის დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროექტი დიდი ხანი არ არის რაც ქართული მართლმსაჯულების პროცესში არსებობს, შეიძლება ითქვას, რომ განრიდება/ მედიაციის პროგრამა წარმატებით ხორციელდება და უკვე გარდაქმნა სისხლის სამართლის სახემდგვანელო პოლიტიკა ლიბერალური მიდგომების დამკვიდრებით. თუმცა არსებობს ისეთი ხარვეზები, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევას და ანალიზს, რათა არ მოხდეს ნორმის ორაზროვანი და არაერთგვაროვანი გაგება. სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება იქნა გამახვილებული, პროცესუალური კუთხით, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმდინარეობაზე, თუ რა რისკებთან არის დაკავშირებული განრიდება/მედიაციის პროგრამა კანონთან კომფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინტერესის მიმართულებით. ნაშრომში განხილულია განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების სახემდგვანელო პრინციპები.

პროკურორის როლი განსაკუთრებით დიდია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შესაბამისად, ამ მიმართულებით ვრცლად იქნა განხილული პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება და მისი განხორციელების ფარგლები, რომელიც მას მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. ნაშრომში ასევე, ხაზი გაესვა პროგრამაში მონაწილე მედიატორის, სოციალური მუშაკის და სხვა მონაწილეები პირების ფუნქცია მოვალეობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ეფექტურ განხორციელებას. დასკვნის სახით აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა მედიატორის და სოციალური მუშაკის უფრო მეტი პროდუქტიულობა და პროფესიონალიზმი. ასევე, რეკომენდირებულია დაზარალებულის მაქსიმალური ჩართულობა განრიდებისა და მედიაციის პროცესში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს მხოლოდ ის საქმე, რომელიც ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, ან დანაშაული, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის ქვემდებარეა. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სასამართლო წესით დაიცვას საკუთარი უფლებები და მოითხოვოს მისი აღდგენა, აქედან გამომდინარე ვფიქრობ, ამ მიმართულებით კარგი იქნებოდა შესაბამისი ზომების მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო კონტროლი, ვერ გახდება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების შემზღუდველი, რადგან მას კანონი ავალდებულებს დაიწყოს დევნა, როდესაც არსებობს ამისი შესაბამისი საფუძველი. აქვე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ უმოკლეს დროში, მნიშვნელოვანი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების მიმართულებით.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს სრული რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს დაზარალებულის ინტერესი, რაც უმნიშვნელოვანესია. საბოლოო ჯამში, განრიდებისა და მედიაციის პროგრამამ, შეიძლება ითქვას, რომ გაამართლა და კიდევ უფრო იხვეწება. აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელებას მიუთითებს არსებული სტატისტიკური მონაცემებიც. თუმცა მიმაჩნია, რომ მეტი ეფექტურობისთვის, კარგი იქნება თუ ეტაპობრივად დაინერგება არასრულწლოვნებზე სპეციალიზებული სასამართლო. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მუდმივი მიზანი და ინტერესია, მისცეს არასრულწლოვანს შანსი დაშვებული შეცდომა გამოასწოროს არასისხლისამართლებრივი გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ქუთათელაძე მ., განრიდება მედიაცია თბილისი, 2017;
2. ქუთათელაძე მ., მართლმსაჯულება და კანონი 1(49), თბილისი, 2017;
3. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013;
4. ქეროლინ ჰამილტონი, სახელმძღვანელო დოკუმენტი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011წ;
5. მეურმიშვილი ბ, „სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე)“, თბილისი, 2014;
6. „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016;
7. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., გამომცემელი იურისტების სამყარო, თბილისი, 2015;
8. ცერცვაძე გ., მედიაცია. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა. თბილისი, 2010;
9. მ. შალიკაშვილი გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა) თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016;
10. თ. მახარობლიძე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი, 2017;
11. ტურავა პ., წკეპლაძე ნ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“ ქ. თბილისი, 2010;

12. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, საქართველოსა და ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. გიორგაძე, გამომცემლობა მერიდიანი, ქ.თბილისი, 2015;
13. ფ.კ გუცენკო, ლ.ვ გოლოვკო, ბ.ა ფილიმინოვი, „დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი, 2007;
14. მართლმსაჯულება და კანონი #4(52), რედ: ნინო ძიძიგური, თბილისი, 2013;
15. „საქართველოს კონტიტუცის კომენტარი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.“ თავი მეორე. გამომცემლობა შპს. „პეტიტი“, 2013;
16. „ადმიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, კორკელია ვ. (რედ.), სტატიათა კრებული, თბილისი, 2006;
17. ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI), „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისკენ“ პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი. თბილისი 2011წ;
18. ტურავა პ., წკეპლაძე ნ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“ ქ.თბილისი, 2010;
19. სტატია- „დისკრეციული უფლებამოსილების პრინციპები მართვის ბიუროკრატიულ სისტემაში“ გორგილაძე ხ., ქ.თბილისი, 2017;
20. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, საქართველოსა და ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. გიორგაძე, გამომცემლობა მერიდიანი, ქ.თბილისი, 2015.;
21. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი;
22. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 19 მარტის N507 ბრძანება „არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
23. Kaspar, J., Juveniles Diversion and Mediation, 2004.;

24. Haft, F., Gräfin von Schlieffen, k. (Hrsg.), 2009.

25. Keidelberg K.H., Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht Laubenthal, Berlin, 2006;

26. Tochtermann P., The German Mediation Act Alternative Dispute Resolution At The Crossroads, Published to Oxford Scholarship. 2012.

სამართლებრივი აქტები

საქართველოს სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
2. საქართველოს 2015 წლის 12 ივნისის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
3. საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის ბავშვის უფლებათა კოდექსი;
4. საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის ბრძანება N120 „არასრულწლოვანის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“;

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

1. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ“ (პეკინის წესები) 1984 წლის 25 მაისი;
2. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (1989 წლის 20 ნოემბერი);
3. საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის 1996 წლის 10 აპრლის ბრძანება N96-305, სისხლის სამართლის საქმეებზე მედიატორებისთვის დაწესებული მოთხოვნების შესახებ;

4. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 1/03/1994);

ელექტრონული წყარო

1. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა-საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; 2016 წლის 6 თვის ანგარიში.
http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2016_January-June.pdf

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება. <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=426>

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება.

<http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalage-maia-natadze-da-sxvebi-saqartvelos-parlamentisa-da-saqartvelos-prezidentis-winaagmdeg-430.page>

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2358226?publication=0>

5. „არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის ანალიზი“ საქართველოს გენერალური პროკურატურა, ანალიზი მოიცავს არასრულწლოვანთა და 18-21 წლამე ასაკის პირთა განრიდების მონაცემებს 2019 წლის მდგომარეობით; <http://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted.pdf>;

შემოკლებული აბრევიატურა

1. ა.შ. - ასე შემდეგ
2. ავტ. - ავტორი
3. გვ. - გვერდი
4. ე.წ - ეგრეთ წოდებული
5. იხ. - იხილეთ
6. სსსკ. - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი